პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

21 იანვარი კვირა 1973 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 18 (15535)

ვიშრომოთ, ვიცხოვროთ ლენინურად!



ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი.

დიდი ხანია ჩვენს ბლანეტაზე დიდებულად გაისმის უკვდავი სახელი — ლენინი!

ლენინის სახელთან დაკავშირებულია უძველესი კომუნისტური პარტიის შექმნა, საბჭოთა სახელმწიფოს დაარსება, დიდი ისტორიული გამარჯვებანი, რასაც ჩვენი სამშობლო აღწევს კომუნიზმის მშენებლობის გზაზე.

ლენინმა შექმნა და გამოაწრთო ახალი ტიპის პარტია — კომუნისტური პარტია, რომელმაც დარაზმა საბჭოთა ხალხი ახალი ცხოვრების ასაშენებლად.

ლენინის დიადი და უკვდავი მემკვიდრეობის, მისი უკვნობი იდეების მკაფიო დემონსტრაცია იყო სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის ზეიმი. ვ. ი. ლენინის იდეებს, მის სახელმძღვანელო მითითებებს რომ ასორციელებს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია წარმატებით აშენებს კომუნისტურ საზოგადოებას განვითარებული სოციალიზმის პირობებში.

რევოლუციური თეორიის დროშით, რევოლუციური პრაქტიკის ბერკეტით პარტიამ დარაზმა ხალხის მასები ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის ასაშენებლად; ახლა პარტია და ხალხი ხელიხელჩაკიდებული იბრძვიან სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებების, მეცხრე ხუთწლედის დავალებების შესასრულებლად.

ინტერნაციონალიზმის დროშით, ხალხთა ლენინური მეგობრობის და ძმობის დროშით სსრ კავშირი გადაიქცა სოციალიზმისა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის დაცვის ბასტიონად, ბურჯად, რომელიც შრომისა და ბრძოლის სწორუპოვარ მაგალითს აძლევს პროგრესულ კაცობრიობას.

სათაგე უნდა გაიხედოთ, — ქარხანაში თუ დაზგებთან, მინდრებში თუ სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებში, მშენებლობებზე თუ კოსმოსში, ყველგან ჩირაღდნად, გზის მანათობელ შუქურად ანთია სახელი ლენინისა.

რევოლუციური აზროვნებისა და რევოლუციური პრაქტიკის ამ გიგანტმა თავის თავში დიალეა ყოველივე ცოცხალი, მებრძოლი და შემოქმედი, რასაც ახალი ცხოვრების მშენებლობაში სასწაულების მოხდენა შეუძლია.

ბარდაქმნილი და აუკავებული ჩვენი დიდი სამშობლო — გიგანტური ქარხნებითა და ფაბრიკებით, თანამედროვე სამამულო ტექნიკით აღჭურვილი სოფლის მეურნეობით, სწავლულებით და მოსწავლეებით, მთლიანად განასახიერებს ლენინიზმის ცხოველმყოფელ ძალასა და ძლიერებას. ლენინი სიმართლე და პატიოსნებაა. იქ, სადაც არის სიმართლე და პატიოსნება, სწორედ იქ ჩქეფს სიცოცხლე, ნამდვილი შემოქმედებითი შრომა.

ლენინი გვასწავლიდა, რომ არ ვიყოყოჩოთ მიღწევებით, თვალი არ მოვარიდოთ გადაუჭრელ ამოცანებს, არ მოვწყდეთ მასებს და მუდამ ვიყოთ მასების ავანგარდში. ბელადის ამ ანდერძს რომ ასრულებს, კომუნისტური პარტია კვლავ მოითხოვს: ვავითარებდეთ კრიტიკასა და ოვითკრიტიკას სოციალისტური მშენებლობის ნაცად მეთოდს; ვეუფლებოდეთ მარქსისტულ-ლენინურ თეორიას — ჩვენი პრაქტიკის გზის მანათობელ შუქურას, ულმობლად ვებრძოდეთ წარსულის მანკიერ ყოფნულებს — მომხვეჭელობას, მექრთამეობას, მუქთახორობას, ლოთობას, სოციალისტური საკუთრების ხელყოფას, რომლებიც კაპიტალიზმის გადმონაშთია; ვიცავდეთ პარტიულ, სახელმწიფო და შრომითს დისციპლინას, ვზრდიდეთ ყოველ ადამიანში მინდობილი საქმისათვის პასუხისმგებლობის გრძნობას; ვაძლიერებდეთ სოციალისტურ შეჯიბრებას, ძალებს არ ვიშურებდეთ მეხი საჯაროობისათვის; ვასრულებდეთ სახელმწიფო გეგმებსა და ნაკისრ ვალდებულებებს, რომელთაც უკვე კანონის ძალა აქვთ.

პარტია მოგვიწოდებს ვიმაღლებდეთ თეორიული და ეკონომიური ცოდნის დონეს, თეორიულ ცოდნას მტკიცედ და განუხრელად გუკავშირებდეთ ჩვენს ყოველდღიურ პრაქტიკულ საქმიანობას. აქ დიდი როლი აკისრიათ ჩვენი იდეოლოგიური ფრონტის მუშაკებს — პროპაგანდისტებს, აგიტატორებს, პოლიტინფორმატორებს.

„შეუძლებელია გადაჭარბებით შეეპაფასოთ ის ფვლილი, — ამბობდა ლ. ი. ბრეჟნევი თავის მოხსენებაში მოსკოვში გამართულ საიუბილეო ზეიმზე 1972 წლის 21 დეკემბერს, — რომელიც ნახევარი საუკუნის მანძილზე შეიტანა კაცობრიობის ისტორიაში ლენინის ინიციატივით შექმნილმა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით. ის რომ სსრ კავშირში პირველად აშენდა სოციალისტური საზოგადოება, პირველად გამომძღვანდა პრაქტიკულად, თუ რა არის ხალხთა ნამდვილად თანასწორუფლებიანი ძმური ურთიერთობა, უეჭველია ეხსომებათ და დაუფასებენ ხალხები ყველა დროში.

დღეს საბჭოთა კავშირი წინასწარს ბანაგობრობს.

საბჭოთა კავშირი კომუნიზმისაკენ მიდის“.

ლენინი წავიდა ჩვენგან ხამუდამოდ, ჩვენი უბადლო მებრძოლი ამხანაგი, ჩვენ კი უშიშრად გავწევთ წინ“ — ასე მიმართავდა ცენტრალური კომიტეტი პარტიას, ხალხს ვ. ი. ლენინის გარდაცვალების გამო. მას შემდეგ ორმოცდაცხრა წელი გავიდა. და დღეს ყველგან მოჩანს და ყველა ხედავს ლენინური კურსით ჩვენი პარტიის უშიშარი ნინსკენ ლიდებულ შედეგს.

საბჭოთა ადამიანის კარნახით მთვარეზე დადის, მთვარეს იკვლევს მეოცე საუკუნის საოცრება მთვარემავალი. საბჭოთა მეცნიერების მიღწევებზე ლაპარაკობს დედამიწის ყველა კუთხეში რადიო თუ გაზეთი, მოუთხრობს ცისფერი ეკრანი...

უსაზღვროა საბჭოთა ადამიანების პატრიოტული ხალისიერთ კარგად იციან, რომ ყველა მათი გამარჯვება დაკავშირებულია დიდი ლენინის უკვდავ სახელთან.

ლენინის!—ეს სახელი, როგორც მზე ისე ამოვიდა ამ ხუუუნის გარიურაჟზე და ოქტომბრის რევოლუციით აუწყა ქვეყნიერებას კაცობრიობის დიადი გაზაფხულის დაწყება. მის სახელთან მტკიცედ დაკავშირებულია არა მარტო ძველი რუსეთის რევოლუციური განახლება, არამედ სოციალიზმის მსოფლიო სისტემის შექმნა, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, მუშათა კლასის ყველა მშრომელთა ძალის აქტიური ბრძოლა იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის.

დაიწყო ხუთწლედის მესამე გადამწყვეტი წელი, რესპუბლიკაში სულ უფრო ჩაღდება შრომითი ენთუზიაზმი. მაშ ყველაფერი გავაკეთოთ. იმისათვის, რომ ვიშრომოთ, და ვიცხოვროთ ლენინურად!

„ლუნოხოდ-2“: 1148 მეტრი სეანსის განმავლობაში

შორეული კოსმოსური კავშირგაბმულობის ცმენრი, 20 იანვარი. (საკ-დისი). 19 იანვარს 20 საათზე მოსკოვის დროით დაიწყო ხაბჭოთა „ლუნოხოდ-2“ ავტომატურ აპარატთან რადიო და სატელევიზიო კავშირგაბმულობის მორიგი სეანსი. სეანსის დროს, რომელიც ექვს საათზე მეტ ხანს გაგრძელდა, პირველად მთვარის ზედაპირზე მოძრავი საქენეიერო ლაბორატორიის მუშაობის დაწყების შემდეგ განხორციელდა მთავარმავლის მოძრაობა დასახული მარშრუტით სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით.

სეანსის დროს თვითმავალმა აპარატმა განვლო 1148 მეტრი, იგი დასაჯდომ საფეხურს დაშორდა 1050 მეტრით.

მოძრაობის ხანგრძლივი სეანსის პროცესში წარმატებით შემოწმდა მთვარემავლის სავალი თვისებები და ხისტემების მუშაობის უნარი. დედამიწიდან მთვარის ავტომატური აპარატის მართვის დასვენლობა მეთოდების საშუალება მისცეს ოპერატორებს ხმოდასსვა ხიჩარით წაეყვანათ მთვარემავალი მოძრაობის ტრასაზე, გეოფიზიკური ობიექტებზე, ბუნებრივი ბუნებრივი დაბრკოლებებისათვის.

მთელ ტრასაზე განუწყვეტლივ რეგისტრაციაში ტარდებოდა მთვარის გრუნტთან აპარატის სავალი ნაწილის ურთიერთმოქმედების პარამეტრები, აგრეთვე პერიოდულად ერთვებოდა გამაფლობის შეფასების ხელსაწყო. გაზომვებმა გვიჩვენეს, რომ გრუნტი მოძრაობის ტრასაზე, მეტად მრავალფეროვანია მექანიკური მახასიათებლებით. მკვრივ უნებებთან ერთად მთვარემავალის ხედებოდა ფხვიერი გრუნტის ღრმა ფენისა და დაბალი მატარებელი უნარის მქონე ადგილები. ეს განსაკუთრებით ხშირად შეიმჩნეოდა კრატერების ახლოს. გამავლობის პარამეტრები, რომლებიც განსაზღვრულია გრუნტთან აპარატის სავალი ნაწილის ურთიერთმოქმედებით, ბაკმაოდ მაღალია და უზრუნველყოფენ მთვარემავლის მტკიცე მოძრაობას. თვითმავალი აპარატიდან მიღებულია მთვარის ლანდშაფტის ახალი პანორამული გამოსასულებანი. სურათებზე კარგად ჩანს მთები, მთვარის ზედაპირის ღეტალები და თვითმავალი აპარატის მიერ დატოვებული კვალი.

ტელემეტრიული ინფორმაციების მონაცემებით, მთვარემავლის ყველა სისტემა ნორმალურად მუშაობს. ხელსაწყოთა ნაკვეთურში ტემპერატურა შეადგენს პლუს 20 გრადუს ცელსიუსით, წნევა — ვერცხლის წყლის სვეტის 800 მილიმეტრს.

საბჭოთა თვითმავალი აპარატი „ლუნოხოდ-2“ განაგრძობს მთვარისა და კოსმოსური სივრცის კვლევის პროგრამის შესრულებას.

გულწრფელი მადლობა

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წლისთავთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მრავალი მილოცვა და სსრ კავშირის იუბილეს აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში წარმატებათა შესახებ შრომითი პატაკები გამოუგზავნეს მოკავშირე და ავტონომიურმა რესპუბლიკებმა, მხარეებმა, ოლქებმა, ეროვნულმა ოკრუგებმა, ქალაქებმა და რაიონებმა, საწარმოების, შენებლობების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და დაწესებულებების კოლექტივებმა, საბჭოთა არმიისა და ფლოტის მეომრებმა, პარტიულმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, საბჭოთა მოქალაქეებმა. მისალმებებსა და პატაკებში საბჭოთა ადამიანები გამოხატავენ სოციალისტური სამშობლოსათვის სიამაყის პატრიოტულ გრძნობებს და აცხადებენ, რომ სავსებით უჭერენ მხარს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის პოლიტიკას, რომ მზად არიან შეასრულონ სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებანი, თავდადებული შრომით განამტკიცონ ჩვენი სამშობლოს ძლიერება.

სსრ კავშირის მშრომელებს გულითადად მიულოცეს ჩვენმა ძმებმა და საერთო საქმეში თანამებრძოლებმა სოციალისტური ქვეყნებიდან. მოსალოცი წერილები გამოგზავნეს კომუნისტურმა და მუშათა, ეროვნულ-დემოკრატიულმა, მემარცხენე-სოციალისტურმა პარტიებმა, საერთაშორისო დემოკრატიულმა მოძრაობებმა და ორგანიზაციებმა, მთავრობებმა, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეებმა და მოქალაქეებმა სხვადასხვა ქვეყნიდან. მისალმებებსა და მოლოცვებში დიდად აფასებენ საბჭოთა კავშირის მიღწევებს განვლილი 50 წლის მანძილზე და ყოველივე საუკეთესოს უსურვებენ ჩვენს ქვეყანასა და საბჭოთა ხალხს.

ჩვენ სანდოგანცხადებთ, მეგობრები მხურვალე სოლიდარობას უცხადებენ პირველ სოციალისტურ ქვეყანას, რომელმაც მსოფლიოს უჩვენა თავისუფალ ხალხთა თანასწორუფლებიანობის, მეგობრობისა და ძმობის ლენინური იდეების საფუძველზე ეროვნული საკითხის გადაჭრის მაგალითი, საბჭოთა სახელმწიფო მათ მიაჩნიათ მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროებისათვის თანამიმდევრულ მებრძოლად, ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მტკიცე დამცველად, რომელიც განუხრელად იღვწის მთელი პროგრესული ანტიიმპერიალისტური ძალების ერთიანობისა და შეკავშირებისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გულითად მადლობას უძღვნიან ყველა მშრომელს, პარტიულ, საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, საწარმოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და დაწესებულებების კოლექტივებს, საბჭოთა არმიისა და ფლოტის მეომრებს, გამოგზავნილი მოლოცვებისა და საყოველთაო-სახალხო დღესასწაულის აღსანიშნავი კარგი საქმეებისათვის და ახალ წარმატებებს უსურვებენ მათ კომუნისტურ მშენებლობაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გულწრფელ მადლობას უძღვნიან კომუნისტურ და მუშათა, ეროვნულ-დემოკრატიულ და მემარცხენე-სოციალისტურ პარტიებს, საერთაშორისო დემოკრატიულ მოძრაობებსა და ორგანიზაციებს, მთავრობებს, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეებს, ყველა უცხოელ მეგობარს მოლოცვებისა და საბჭოთა ხალხისადმი, ჩვენი მრავალეროვანი სახელმწიფოსადმი — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისადმი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისადმი კეთილი სურვილებისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

დამკვრელურ წელს — დამკვრელური შრომა

ბორი. გაიმართა ქართლის რაიონების პარტიული და სამეურნეო აქტივის ზონალური თათბირი. პარტიის რაიკომების პირველი მდივნები, რაიალმასკომების თავმჯდომარეები, სოფლის მეურნეობის სამმართველოთა უფროსები, „საქსოფლტექნიკის“ რაიონულ განყოფილებათა თავმჯდომარეები, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სასისტემო სამმართველოთა უფროსები, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, საბჭოთა მეურნეობების დირექტორები, სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეები, პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნები შეიკრიბნენ, რათა განეხილათ 1972 სასოფლო-სამეურნეო წლის შედეგები, დაესახათ 1973 წლისათვის ნაკისრი ვალდებულებათა შესრულებისა და პირუტყვის ორგანიზებული გამოზამთრების ღონისძიებანი.

ინფორმაცია გააკეთეს პარტიის ბორის, ხაშურის, კასპის, მცხეთის, დუშეთის რაიკომების პირველმა მდივნებმა რ. ბზიშვილმა, დ. ნოზაძემ, ვ. ოდიშვილმა, გ. კვათაიშვილმა, ა. შადურმა და პარტიის ქარელის რაიკომის მეორე მდივანმა შ. ეცადაშვილმა. ადგილებზე საქმის ვითარების შესახებ ილაპარაკეს ბორის რაიონის სოფელ დიცის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ დ. მინდიაშვილმა, ბორის რაიონის კარალეთის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა მ. ჯაშიაშვილმა, ხაშურის რაიონის სოფელ ფლევის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ზ. ჩიჩიშვილმა, მცხეთის რაიონის ნატახტრის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა ხ. ციტაძემ, დუშეთის რაიონის სოფელ ჭართლის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ვ. ჩიტაურმა.

თათბირზე საქმიანი, პრინციპული სჯა-ბაასი გაიმართა იმ კონკრეტულ ღონისძიებათა გამო, რომლებსაც ამორცელებენ რაიონებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი ზრდისათვის, სოციალისტური შეჯიბრების ფართო გაჩაღებისათვის. გაანალიზეს წარმოების ზოგიერთი უბნის ჩამორჩენის მიზეზები, გამოთქვეს აზრი, რომ საჭიროა დაამყარონ მკაცრი წესრიგი და განამტკიცონ პარტიული, სახელმწიფო და შრომის დისციპლინა. წარმოების ყველა რგოლში, უთუოდ შეასრულონ სოციალისტური ვალდებულებანი, რომლებიც იკისრეს რაიონებმა, კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა.

თათბირს ესწრებოდნენ იმ სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელები, რომელთა მოქნილ და ოპერატიულ მუშაობაზე ბევრად არის დამოკიდებული კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაობა. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს „საქკონსერვნოლოსტნის“ სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ დ. შარაშიძემ, ხორცისა და რძის მრეწველობის მინისტრის პირველმა მოადგილემ მ. შუბითიძემ და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ ი. ეცადაშვილმა უპასუხეს იმ კითხვებზე, რომლებიც მათ მიმართა წამოჭრეს ორატორებმა.

თათბირზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გ. ჯავახიშვილმა.

ზესტაფონი. აქ გაიმართა ზონალური თათბირი, რომელშიც მონაწილეობდნენ პარტიის თერჯოლის, სამტრედიის, ორჯონიკიძის რაიკომების, პარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტის მდივნები, რაიალმასკომების თავმჯდომარეები, სოფლის მეურნეობის სამმართველოთა უფროსები, „საქსოფლტექნიკის“, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელი მუშაკები.

თათბირი გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ზ. პატარაიძემ.

თათბირმა განიხილა გასული სასოფლო-სამეურნეო წლის შედეგები და 1973 წლის ამოცანები, აგრეთვე პირუტყვის ორგანიზებულად გამოზამთრების საკითხი.

თათბირზე გამოვიდნენ საქართველოს კომპარტიის ბუსტაფონის რაიკომის პირველი მდივანი შ. ვერულაშვილი, თერჯოლის სახელმწიფო სანერგე მეურნეობის პარტორგანიზაციის მდივანი ვ. ფხაკაძე, პარტიის ორჯონიკიძის რაიკომის პირველი მდივანი შ. ჯოგლიძე, ჭიათურის მანგანუმის ტრესტის მრეკვეობა-მენთესტნეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ლ. ჩუბინიძე, პარტიის თერჯოლის რაიკომის პირველი მდივანი ი. ყიფიანი, არგვეთის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი კ. ზარნაძე, პარტიის სამტრედიის რაიკომის მეორე მდივანი გ. სუთიძე, ორჯონიკიძის რაიონის სოფელ ლახუნდარას კოლმეურნეობის

(დასასრული მე-2 გვ.).

ვადამდე შეეასრულოთ ხუთწლედის დავალება

საქართველოს სსრ სასოფლო მეურნეობის სამინისტროს ორგანიზაციებისა და საწარმოების მუშაკთა კოლექტივებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა 1973 წლის სოციალისტური ვალდებულებანი

სსრ კავშირის სასოფლო მეურნეობის სამინისტროს კოლეგიამ და მეურნეობათა და სამენ მასალათა მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა განიხილეს და მოიწონეს საქართველოს სსრ სასოფლო მეურნეობის სამინისტროს ორგანიზაციათა და საწარმოთა კოლექტივების ინიციატივა — 1973 წლის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება და იკისრონ გაზრდილი ვალდებულებები.

სსრ კავშირის სასოფლო მეურნეობის სამინისტროს კოლეგიამ და მეურნეობათა და სამენ მასალათა მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა მიღებულ დადგენილებაში წინადადება მისცეს მოკავშირე რესპუბლიკების სასოფლო მეურნეობის სამინისტროებსა და პროფკავშირების შესაბამის კომიტეტებს მხარი დაუჭირონ საქართველოს სოფლის მეურნეობათა ინიციატივას, მიბაძონ მათ და ხუთწლედის მესამე წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის იკისრონ გაზრდილი ვალდებულებები.

საქართველოს სსრ სასოფლო მეურნეობის სამინისტროს სამეურნეო საბჭოს, საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო ნოვატორთა თათბირზე — გაიშალოს სოციალისტური შეჯიბრება იმ ამოცანების განსახორციელებლად, რომლებიც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, საკავშირო პროფსაბჭომ დაგვისახეს 1973 წელს სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის, საქართველოს სსრ სასოფლო მეურნეობის სამინისტროს ორგანიზაციებისა და საწარმოების მუშათა კოლექტივები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და მოსამსახურეები კისრულობენ შემდეგ სოციალისტურ ვალდებულებებს:

— 1973 წლის საკავშირო ხამუშაოთა და სამრეწველო პროდუქციის რეალიზაციის გეგმა შეასრულონ 25 დეკემბრისათვის;

—საკუთარი მშენებლობებს მიხედვით კაპიტალდაბანდებათა გეგმა გაანალდონ 20 დეკემბრისათვის და ობიექტების ექსპლოატაციოდ გადაცემა უზრუნველყონ 1 დეკემბრისათვის;

— მშენებლობის შემდგომი ინდუსტრიალიზაციისა და მექანიზაციის გზით, შრომის მოწინავე მეთოდების დანერგვით შრომის ნაყოფიერების გადიდების დავალებას გადაამტკიცონ სულ მცირე 1 პროცენტით;

— 1973 წლის გეგმის მიხედვით, პირუტყვის ბაგაზე შენახვის დაწყებამდე საექსპლოატაციოდ გადასცენ მგცხოველეობის ყველა ობიექტი;

— დადგენილ ვადაზე ერთი კვარტალით ადრე საექსპლოატაციოდ გადასცენ ჯანდარის საბჭოთა მეურნეობის მეცხოველეობის კომპლექსი გარდაბნის რაიონში;

— აამოქმედონ მეფრინველეობის ფაბრიკის პირველი რიგი 2 მილიონი მოქცეულისათვის გარდაბნის რაიონის სოფელ გამარჯვებაში — 15 დეკემბრისათვის და 12 ათასი ტული ღორისათვის განკუთვნილი მეღორეობის კომპლექსის პირველი რიგი საგარეჯოს რაიონის სოფელ გიორგაწმინდაში — 5 დეკემბრისათვის;

— დადგენილ ვადაზე ერთი წლით ადრე აამოქმედონ გარდაბნის რაიონის სოფელ კრწანისში სასათბურე კომბინატის 3 ჰექტარი დამატებითი სიმძლავრე;

— დადგენილ ვადაზე ერთი კვარტალით ადრე გადასცენ ხაექსპლოატაციოდ მაიაკოვსკის პირველადი ღვინის ქარხანა;

— გაანალიზონ სახოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადამამუშავებელი ობიექტების მშენებლობა, დადგენილ ვადაზე ნახევარი წლით ადრე აამოქმედონ ზუგდიდის რაიონის კახათის ჩაის ფაბრიკა და ვადაზე ერთი კვარტალით ადრე — გალის რაიონის ხოფელ ბარღების ჩაის ფაბრიკა;

— გაიუმჯობესონ სანიაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის ხარისხი, ობიექტების სულ მცირე 80 პროცენტი გადასცენ „კარგი“ და „ფრიადი“ შეფასებით;

— 4,5 მილიონი მანეთიდან 7 მილიონ მანეთამდე გაზარდონ მოლიანასაწყობი კონსტრუქციებით მშენებლობის მოცულობა, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო საწარმოო მშენებლობის ხაზით — 6 მილიონ მანეთამდე;

— 1972 წელთან შედარებით 2-ჯერ გაიფართოონ აკორდული და აკორდულ-პრემიალური სისტემების ნარდად მომუშავეთა შრომითი ანაზღაურება;

— მკაცრი კონტროლი გაუწიონ ძირითადი სამშენებლო მასალების ხარჯვას და 1970 წელთან შედარებით მიაღწიონ შავი ლითონის ნაგლინის ეკონომიას 6,4 პროცენტით, ცემენტისა — 6,5 პროცენტით, ხე-ტყისა — 10,2 პროცენტით, მინისა — 7,2 პროცენტით.

— გაიუმჯობესონ ძირითადი ხარჯთაღრიცხვა და ამით სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა შესრულება გაადიდონ 1 მანეთით, ძირითადი ფონდებისა — 5 პროცენტით. მრეწველობაში პროდუქტების გამოშვება გაზარდონ 4 პროცენტით;

— გაიუმჯობესონ ავტოტრანსპორტის გამოყენება, ცენტრალიზებული გადაზიდვები აიყვანონ 86 პროცენტამდე. 2 პროცენტით აამაღლონ ავტომპრკის გამოყენების კოეფიციენტი, ავტოსაბურავების პირველადი გარბენა გაზარდონ 3.000 კილომეტრით და მიაღწიონ სიჩქარე-ხაპობი მასალების ეკონომიას 1 პროცენტით;

— სოციალისტური შეჯიბრება გაშალონ ყველა პირველადს ორგანიზაციასა და მუშათა ბრიგადაში, ფართოდ განიხილონ მისი შედეგები, დაიწესონ ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების ყოველთვიური კონტროლი;

საქართველოს სოფლის მშენებელთა კოლექტივებს კარგად ესმით, რომ ამ გაზრდილი სოციალისტური ვალდებულებების წარმატებით შესრულება შესაძლებელი გახდება მხოლოდ მაშინ, თუ განუხრელად გაუმჯობესებენ და სრულყოფენ მშენებლობის მართვის მეთოდებს, წარმოების ორგანიზაციას, ფართოდ გამოიყენებენ თანამედროვე სამშენებლო მუხუკ კონსტრუქციებს, ყოველმხრივ განამტკიცებენ სახელმწიფო და საწარმოო დისციპლინას, თვალსაჩინოვით გაუფრთხილდებიან სახელმწიფო საკუთრებას, ყაირათიანად მოეკიდებიან სახალხო ფოლოსს.

სოფლის მშენებლები მზად ბრიან თავდადებით იშრომონ იმისათვის, რომ ვადამდე შესრულდეს ხუთწლედის დავალება, ცხოვრებაში განხორციელდეს სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახული ამოცანები.

საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს სამშენებელო ორგანიზაციებისა და სამრეწველო საწარმოთა მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და მოსამსახურეები მოწოდებით მიმართავენ ყველა მოძმე რესპუბლიკის სოფლების მშენებლებს ღირსეულად შესრულონ ვალდებულებები, რომლებიც ნაკისრია ხუთწლედის მესამე გადამწყვეტი წლის გეგმების ვადამდე შესრულებისათვის.

სოციალისტური ვალდებულებები განხილული და მიღებულია საქართველოს სსრ სასოფლო მეურნეობის სამინისტროს ორგანიზაციებისა და სამრეწველო საწარმოთა მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა, მოსამსახურეთა კრებებზე.

საუბარი სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

18 იანვარს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა კ. ო. კატუშევმა მიიღო ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი საბჭოთა კავშირში ვო ოხუკ დონგი. საუბრის დროს, რომელმაც გულთბილ, ამხანაგური ვითარებაში ჩაიარა, განხილეს საბჭოთა კავშირ-ვიეტნამის თანამშრომლობის შემდგომი განვითარების საკითხები.

(საკ-დისი).

მიფრინავს „კოსმოს-544“

1973 წლის 20 იანვარს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-544“. თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას იმ პროგრამის შესაბამისად, რომელიც საკ-დისმა გამოაცხადა 1962 წლის 16 მარტს.

აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას. (საკ-დისი).

მოქმედების ნათელი პროგრამა

18 იანვარს თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის კომუნისტები შეიკრიბნენ, რომ განეხილათ საქართველოს კპ თბილისის საქალაქო კომიტეტის მუშაობა თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მიღებიდან განვლილი წლის მანძილზე. დარბაზი, სადაც ავიამშენებელთა პარტიული აქტივის კრება მიმართა, გაჭედილი იყო ხალხით: სკმეკ ხომ თვითფულისათვის მახლობელ თემას ეხებოდა. მოხსენება „სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზაციისა და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესრულებისათვის საქართველოს კპ თბილისის საქალაქო კომიტეტის მუშაობაზე გაკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრმა, საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. პ. გილაშვილმა.

თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შიღებიდან განვლილ პერიოდში, — თქვა, — ამხ. პ. გილაშვილმა, — ქალაქის პარტორგანიზაციამ მნიშვნელოვანი მუშაობა გასწია მიხი განხორციელებისათვის. დადგენილების მოთხოვნები, დასკვნები, რომლებსაც იგი შეიცავს, ქალაქის პარტიულმა ორგანიზაციებმა მიიჩნიეს უდიდესი პოლიტიკური და პრაქტიკული მნიშვნელობის დოკუმენტად, ხანგრძლივი პერიოდისათვის სამოქმედო პროგრამად. ამას დამაჯერებლად მოწმობს შედეგები დადგენილების განხილვისადმი მიძღვნილი დაბურული პარტიული კრებებისა, რომლებიც მოეწყო თბილისის ყველა 1.802 პირველადს პარტორგანიზაციაში. ამ კრებებს დაესწრო აღრიცხვაზე მყოფი სკკპ ყველა წევრის და წევრობის კანდიდატის 95,2 პროცენტი, კამათში

სისხლხორცეული, საერთო საქმე

გამოვიდა 13.784 კაცი. გამოდიოდნენ რა იმ ამოცანებიდან, რომლებიც საქალაქო პარტიული ორგანიზაციის წინაშე დასახა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ, გაითვალისწინეს რა ამ დადგენილებაში ნაჩვენები დოკუმენტის მაღალი მოთხოვნები, კომუნისტებმა გადასინჯეს მუშაობის გეგმები და შეიმუშავეს კონკრეტული ღონისძიებანი მათი განხორციელებისათვის.

საქართველოს კპ თბილისის კომიტეტის VII პლენუმზე, რომელიც შემდეგ გაიმართა, განიხილეს ორგანიზაციული და პოლიტიკური მუშაობის მთავარი მიმართულებანი: პირველადი პარტორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის ამაღლება, მუშაობის სტილისა და მეთოდების სრულყოფა, საქალაქო მეურნეობის ყველა სფეროში პარტიული გავლენის გაძლიერება, მინდობილი საქმისათვის ხელმძღვანელების, შრომითი კოლექტივების, ყველა კომუნისტის პერსონალური პასუხისმგებლობის ამაღლება, პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის სასტიკად დაცვა. პარტიის საქალაქო კომიტეტი სისტემატურ კონტროლს უწევს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების განსახორციელებლად მის მიერ შემუშავებული პერსპექტიული და კონკრეტული გეგმების შესრულებას.

საქართველოს კპ თბილისის კომიტეტის XI პლენუმზე, რომელიც გასული წლის სექტემბერში შედგა, ფართოდ შეისწავლილ იქნა საკითხი რესპუბლიკის დედაქალაქის პარტიული ორგანიზაციის მუშაობისა პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცების, შინაპარტიული დემოკრატიის შემდგომი განვითარების დარგში. ამ პლენუმზე შეიქმნა 10 კომისია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან გამომდინარე პრობლემურ საკითხებზე. მათ შეიმუშავეს კონკრეტული წინადადებანი და რეკომენდაციები პლენუმის დადგენილების განსახორციელებლად, რომლებიც იქნა საქალაქო კომიტეტის დარგობრივი განყოფილებების სამუშაო გეგმებში.

ილაპარაკა რა იმ მუშაობის შედეგებზე, რომელიც ქალაქის პარტიულმა ორგანიზაციამ გასწია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მიღების შემდეგ განვლილ პერიოდში, მომხსენებელმა ხაზგასმით აღნიშნა პირველადი პარტორგანიზაციების, შრომითი კოლექტივების, ყველა მშრომელთა გაზრდილი აქტივობა მეცხრე ხუთწლედის გეგმების რეალიზაციის საქმეში. მოწინავეთა რიგებში დგანან, მაგალითად, თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნისა და თბილისის ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელო ქარხნის პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც სათავეში ჩაუდგნენ მასებს ეკონომიკურ სწავლებას.

ეკონომიკურ სწავლებაზე ეუფლება 53 ათასამდე კაცი — 2,5-ჯერ მეტი, ვიდრე შარშან. სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისათვის მზადებასთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების იმ მოთხოვნის შესრულება, რომ საჭიროა გაძლიერდეს მუშაობა მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდისათვის. ცხოვრებაში გატარდა მთელი რიგი ღონისძიებანი მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების, მასობრივი ფიზკულტურული და გამაჯანსაღებელი მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

ასრულებდა რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოთხოვნებს, თქვა მომხსენებელმა, პარტიის საქალაქო კომიტეტმა განახორციელა ღონისძიებანი, რომ გაძლიერდეს სამეურნეო ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა სახელმწიფო გეგმების რეალიზაციისათვის, წარმოების ეფექტურობის ამაღლებისათვის, მიუხედავად. ივნისში მოსული კოკისპირული წვიმების მძიმე შედეგებისა და მათ მიერ გამოწვეული ზარალისა, პროდუქციის რეალიზაციის წლიური გეგმა შესრულებულ იქნა 101,2 პროცენტით. ამავე დროს 210 სამრეწველო საწარმოდან 27-მა ვერ შეასრულა სახელმწიფო დავალებანი, დაგვაკლო 18.687 ათასი მანეთის პროდუქცია. გარდა ამისა, ქალაქის ცალკეულ საწარმოებში კვლავ იდგილი ჰქონდა რეალიზებული პროდუქციის ზრდის ტემპების შემცირებას.

შეეხო რა დედაქალაქის პარტორგანიზაციის საქმიანობის სპეციფიკას, ამხ. პ. გილაშვილმა აღნიშნა, რომ მნიშვნელოვნად გაძლიერდა საქალაქო კომიტეტის ხელმძღვანელობა სამინისტროთა და უწყებათა პარტიული ორგანიზაციებისადმი. კერძოდ, როცა საქალაქო კომიტეტის ბიუროზე განხილულ იქნა პურის ხარისხის საკითხი, გარდა პურის ქარხნების საქმიანობაში არსებული ნაკლოვანებებისა განხილულ იქნა ტრესტ „საქპურკონდიტრის“ და საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს პარტორგანიზაციების მუშაობის საკითხები. თბილისის ხორცკომბინატის მუშაობის მდგომარეობის საკითხის განხილვაში კი აქტიურად მონაწილეობდნენ ხორცისა და რძის მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, საბჭოთა მეურნეობების, ვაჭრობის, დამზადების სამინისტროთა მინისტრები და სამმართველოთა უფროსები.

მნიშვნელოვნად გაძლიერდა კონტროლი გამოშვებული პროდუქციის ხარისხისადმი; ქალაქის საწარმოებში ახლა უფრო ფართოდ იყენებენ მორალურ და მატერიალურ სტიმულებს, შრომის მოწინავე მეთოდებს. ამის შედეგად მნიშვნელოვნად იკლო რეკლამაციების რაოდენობამ და წუნით გამოწვეულმა დანაკარგებმა. ბევრი რამ გაკეთდა ტექნიკური პროგრესის დანერგვის დარგში, პარტორგანიზაციებ მ ა გააძლიერეს ბრძოლა წარმოების ინტენსიფიკაციისათვის, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობის შემდგომი გაფართოებისათვის, მკაცრი ზამთრის და კოკისპირული წვიმების შედეგების ლიკვიდაციისათვის, რომლებმაც დიდი ზარალი მიაყენა ქალაქის მეურნეობას. მაგალითად, აღდგენილია თბილისის 317 ქუჩა, რომელთა ფართობი 700 ათასი კვადრატული მეტრია, 3 ათას კუბურ მეტრზე მეტი ხაბჭენი კედლები, განახლებულია მწვანე ნარგავები.

მომხსენებელმა მოიყვანა მეკვირმეტყველური ციფრები, რომლებიც მოწმობენ, რომ მნიშვნელოვანი შედეგები მოპოვა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის, ქალაქის პირველადი ორგანიზაციების მუშაობამ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო და კომუნალური მომსახურების დონის შემდგომი ამაღლებისათვის, ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების საწარმოთა, კავშირგამშვლობის საშუალებათა და სხვ. მუშაობის გაუმჯობესების საქმეში. შესამჩნევი წარმატებებია მიღწეული გამფრთხილებელ-პროფილაქტიკური მუშაობის, სამართალდარღვევებთან ბრძოლის საქმეში. მაგრამ, ყველა ამ წარმატებასთან ერთად, ამხ. პ. გილაშვილმა კონკრეტულად აღნიშნა ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებანი, ხაზი გაუსვა, რომ საჭიროა გავაერთიანოთ ღონისძიებანი, ნაკლოვანებათა საბოლოოდ აღმოფხვრისათვის.

დასასრულ მომხსენებელმა თქვა:

— ყველაზე დიდმნიშვნელოვანია ის, რომ თბილისის კომუნისტები დიდი აღფრთოვანებით უჭერენ მხარს ღონისძიებებს, რომლებიც ხორციელდება ნამდვილი სახელმწიფოებრივი წესრიგის დამყარებისათვის ქალაქის პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში, გულდაჯერებულად უდგანან სათავეში მასების პატრიოტულ და შრომითს ენთუზიაზმს. საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტი რწმენას გამოთქვამს, რომ საქართველოს დედაქალაქის კომუნისტები, ყველა მშრომელნი არ დაიშურებენ ძალღონეს, რომ ღირსეულად განახორციელონ სკკპ XXIV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი.

მოხსენების გამო გამართულ კამათში გამოვიდნენ: ქარხნის მთავარი ტექნოლოგი ბ. კუპრიანოვი, საამქროთა საამქროს უფროსი ა. ალერია, ხარატი, საქართველოს კპ თბილისის კომიტეტის წევრი გ. სუხინი, საწარმოს პარტკომის მდივანი ე. აფციაური, ხარატი ტ. რუსტაველი, საავიაგადო საამქროს პარტორგანიზაციის მდივანი ლ. არზუმანოვი, ტექნიკური კონტროლის განყოფილების მთავარი კონტროლიორი დ. გრიგორაში და სხვა ავიამშენებლები. მათ გაუზიარეს დამსწრეთ თავიანთი მოსაზრებანი, გამოთქვეს ბევრი მნიშვნელოვანი წინადადება, დასახეს ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წლისათვის ნაკისრ მაღალ ვალდებულებათა წარმატებით შესრულების კონკრეტული გზები.

ბიბლიოთეკა

ვაკმაყოფილებთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესრულებას

„სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზაციული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“.

განვამტკიცოთ შრომითი და საწარმოო დისციპლინა

ერთი წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზაციულ-პოლიტიკური მუშაობის შესახებ. ამ ერთი წლის მანძილზე დედაქალაქის პარტიულმა ორგანიზაციებმა, ფაქიზად გაშალეს რა მუშაობა სკკპ XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, არაერთი მნიშვნელოვანი წარმატება მოიპოვეს.

ამ დიდ საქმეში დედაქალაქის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა, დაწესებულებ ებ ს ა და ორგანიზაციებში ბრძოლადა კომუნისტთა კრებების მუშაობა, რომლებზეც განხილავენ მოხსენებას პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მუშაობის შესახებ, თუ როგორ სრულდება სკკპ ცენტრალური კომიტეტის ისტორიული დადგენილება, როგორ იბრძვიან დედაქალაქის პარტიული ორგანიზაციები სკკპ XXIV ყრილობის წინასწარდასახული ამოცანების გადასაწყვეტად.

ფართო სკკ-ბაასი გამართეს თავიანთ კრებაზე თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის მშრომელებმა. მოხსენებით გამოვიდა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი ბ. გრიგალაშვილი.

მაუდ-კამეოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოში“ მოხსენებით გამოვიდა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე შ. ბუხრაშვილი.

კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის კომუნისტთა პარტიულ კრებაზე, სადაც შიდასაქარხნო საკმირბორტო საკითხებთან ერთად საერთოსაქალაქო პრობლემებიც იქნა დაყენებული, მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის პირველმა მდივანმა ვ. ალავიძემ.

თავიანთ გამოუყენებელ რეზერვებზე ისაუბრეს „მთავაკონსერვის“ № 15 სამშენებლო ტრესტის კომუნისტებმა, რომლებსაც ესაუბრა საქართველოს „კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის 26 კომი ს რ ი ს რაიკომის პირველი მდივანი გ. ბაბუნა.

საქართველოს კომპარტ ი ი ს თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის პირველი მდივანი ბ. დემეტრაძე მოხსენებით გამოვიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული აქტივის წინაშე. რესპუბლიკის პირველი უმაღლესი სასწავლებლის კომუნისტებმა, პრინციპულად იმსჯელეს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი ამაღლებისათვის.

შრომის უკეთესი ორგანიზაციის, წარმოების ეფექტიანობის ამაღლების მნიშვნელოვან საკითხებზე იმსჯელეს 26 კომისრის მანქანათსამშენებლო ქარხნის კომუნისტებმა. აქ მომხსენებელი იყო საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ოქტომბრის რაიკომის პირველი მდივანი შ. დანელია.

წინდების ფაბრიკა „კრწანისის“ კომუნისტებმა ფართო სკკ-ბაასი გამართეს მოხსენების ირგვლივ, რომელიც გააკეთა საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომის პირველმა მდივანმა ნ. ნეფედოვმა.

თბილისის ცხიმკომბინატ ი ს, საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს, ორჯონიკიძის სახელობის მანქანათსამშენებლო ქარხნის, № 1 სამკერვალო ფაბრიკის, ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის კომუნისტთა კრებებზე მოხსენებებით გამოვიდნენ თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ი. ურუშაძე, სახალხო კონტროლის თბილისის კომიტეტის თავმჯდომარე ვ. ჯანჯღავა, საავიაციო ქარხნის დირექტორი, სოციალისტური შრომის მგრი ი. ხვედელიანი, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ნ. ფუანინი და თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ბ. ლობჟანიძე.

მეცხრე ხუთწლედში მეცნიერთა დიდ ამოცანებზე იმსჯელეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის კომუნისტთა პარტიულ კრებაზე, სადაც მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის კალინინის რაიკომის პირველმა მდივანმა ფ. მახარაძემ.

პარტიული კრებები გაიმართა აგრეთვე, აბრეშუმის საწარმოო გაერთიანებაში, სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელ და გამრთველთა ქარხნებში, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოში.

საქართველოს დედაქალაქის კომუნისტებმა ერთსულოვნად მოიწონეს პარტიისა და მთავრობის ღონისძიებანი სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ეფექტიანობის ამაღლებისა და შრომითი და საწარმოო დისციპლინის, სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის.

თვითეულმა კოლექტივმა პარტიული აქტივის კრებაზე დასახა მოქმედების კონკრეტული გეგმა, რათა ვადამდე შესრულდეს ხუთწლედის მესამე წლის დავალებანი.

დამკვრელურ წელს—დამკვრელური შრომა

(დასასრული).

თავმჯდომარე ვ. ხომასურიძე, პარტიის ჰიპოთრის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი ო. გოგოტაშვილი, „საქსოფლტექნიკ ი ს“ ზესტაფონის განყოფილების უფროსი ა. ბარბაქაძე. მათ ილაპარაკეს იმ ამოცანებზე, რომლებიც სოფლის მეურნეობის მუშაკთა წინაშეა დასახული ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტ წელს. ორატორებმა აღნიშნეს, რომ ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება მიმდინარე წლის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ვადამდე შესრულებისათვის. წარმატებით მიმდინარეობს მზრალად ხნა, ვენახების ზამთრის დამუშავება, სასუქების შეტანა, ვაზის ნერგის მომზადება დასარგავად. სამნიდის თესლი მთლიანად მომზადებულია დასათესად, ძირითადად შეკეთებულია ტრაქტორები და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანები. ნორმალურად მიმდინარეობს პირუტყვის გამოზამთრება. დათბუნებულია მეცხოველეობის სადგომები, პირუტყვი უზრუნველყოფილია საკვებით.

თათბირის მონაწილეებმა ყურადღება მიაპყრეს მეგობრობების განვითარების საკითხებს. აღინიშნა, რომ ამ მიმართულებით ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი. სოფლის საკმარისი აქტივობით არ ეხმარებიან შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები. ტრაქტორებს აკლიათ სათადარიგო ნაწილები, რის შედეგადაც ტექნიკას სრული ძალით ვერ იყენებენ. უნდა გაუმჯობესდეს მეცხოველეობის ფერმების მექანიზაცია. ეკონომიური პრეტენზიები წაუყენეს ქუთაისის ხორცკომბინატს, რომელიც ზოგჯერ არ აღებს რაიონებიდან ჩამოყვანილ პირუტყვს და უკან აბრუნებს. თათბირზე გამოსულმა ორატორებმა თავიანთი რაიონების შრომელთა სახელით გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს მიმდინარე წლის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის.

თათბირზე სიტყვა წარმოთქვა ამხ. ზ. პატარაძემ.

ბათუმი. პარტიის საოლქო კომიტეტის სხდომათა დარბაზში გაიმართა აჭარის პარტიულ-სამეურნეო აქტივის თათბირი. განხილავდნენ 1972 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის შესრულებისა და 1973 წლის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების საკითხს.

აქტივის მუშაობაში მონაწილეობდნენ აჭარის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული მუშაკები, საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელები, კოლმეურნეობების თავმჯდომარეები, საბჭოთა მეურნეობების დირექტორები, სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეები, მრეწველობის, ტრანსპორტის, მშენებლობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავენი, პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნები, რაიაღმასკომების თავმჯდომარეები, სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელები.

მოხსენება გააკეთა პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ა. თხილაიშვილმა. განსილი წელი. თქვა მან, ისტორიაში შევა როგორც სსრ კავშირის შექმნის ნახევარი საუკუნის იუბილეს წელი. ბევრი სახელოვანი შრომითი გამარჯვება მოუკავშირეს ამ დიად თარიღს მშრომელებმა. შრომითი მიღწევები უპატაკეს სამშობლოს ნავთობგადამამუშავებელი, ელექტრომექანიკური, გემთსაშენებელი, სამხმელო-მექანიკური, ტუნგოს ზეთსახდელი ქარხნების, ციტრუსების, ავეჯ-ბამბუკის, საკონდიტრო ფაბრიკების, პორისა და ციტრუსების კომბინატების და მთელი რიგი სხვა საწარმოების კოლექტივებმა, რომელთა მიღწევები საპატიო საიუბილეო ნიშნებითა და სიგელებით აღინიშნა.

აჭარელმა მშრომელებმა ფართოდ დაუჭირეს მხარი ჩვენი ქვეყნის მოწინავე მუშათა თაოსნობას, თვითონ იყვნენ რიგი საყურადღებო წამოწყების ინიციატორები. ისინი იბრძოდნენ მომჭირნეობის რეჟიმისათვის, აელენდნენ არსებულ რეზერვებს, აუმჯობესებდნენ პროდუქციის ხარისხს. ხარისხის სახელმწიფო ნიშანი მიიღო ბათუმის სამკერვალო საწარმოო გაერთიანების, ნავთობგადამამუშავებელი, გემთსაშენებელი, ელექტრომექანიკური და მანქანათსაშენებელი ქარხნების პროდუქციამ. ძლიერ შემცირდა რეკლამაციები, გაფართოებული და რეორგანიზებულია მრეწველობის მთელი რიგი დარგები, დიდი მუშაობა წარმოებს მინდობილი საქმისათვის, შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის პირადი პასუხისმგებლობის გასაძლიერებლად. მაგრამ, თქვა მომხსენებელმა, აჭარის სამრეწველო საწარმოთა მუშაობაში ჯერ ისევ არის სერიოზული ნაკლოვანებანი და ხარვეზები. რიგმა საწარმოებმა ვერ შეასრულეს სახელმწიფო დავალებანი. ჯერ კიდევ ხშირია სამსახურებრივი მოვალეობისადმი არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულების, სოციალისტური საკუთრების დატაცების შემთხვევები.

მომხსენებელმა მოიყვანა ფაქტები, როცა ცალკეული მუშაკები დაუდევრად, გულგრილად, ზოგჯერ დანაშაულებრივადაც ეკიდებიან საქმეს.

მოხსენებაში საფუძვლიანად არის გაანალიზებული სოფლის მეურნეობის მშრომელთა მუშაობა. შედარებით ძნელი კლიმატური პირობების მიუხედავად გადაჭარბებით შესრულდა ჩაის ფოთლის კრეფისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოების გეგმები. აჭარის სოფლის მშრომელთა მიღწევები საყოველთაოდ ცნობილია.

მოხსენებაში განსაკუთრებული ადგილი დაეთმო ხუთწლედის გადამწყვეტი წლის — 1973 წლის გეგმებსა და სოციალისტურ ვალდებულებებს. აჭარელმა მშრომელებმა გადასწყვეს თავიანთი შესაძლებლობანი და კისრულობენ გადდებულ ვალდებულებებს. აჭარის სამრეწველო საწარმოები გამოუშვებენ და გასალიებენ 317 მილიონი მანეთის პროდუქციას, მრეწველობის, ტრანსპორტისა და მშენებლობათა მუშაკებმა ვალდებულება იკისრეს გეგმის გადაჭარბებით გამოუშვან 10 მილიონი მანეთის პროდუქცია, გადიდონ შრომის ნაყოფიერება 3 პროცენტით. სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვება გადიდდება 20 პროცენტით. 1973 წელს ამოშავდება 20 ავტომატური ხაზი, დაინერგება 150 ახალი დანადგარი. სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმა შესრულდება 28 დეკემბრისათვის, გეგმის გადაჭარბებით გადაეცემა სანქსპლოატაციოდ 10 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს რკინიგზელებმა და ავტოტრანსპორტის, ვაჭრობისა და მომსახურების სფეროს მუშაკებმა.

სოფლის მეურნეობის დარგში გადაწყვეტილია მიმდინარე წელს სახელმწიფოს მიჰყიდონ 43 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი, 40 ათასი ტონა ციტრუსი, 2.500 ტონა თამბაქოს ფოთოლი და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტები.

აქტივზე გამოვიდნენ პარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის, ქობულეთის რაიონული კომიტეტის, ხულოსა და ქედის რაიკომების პირველი მდივნები ა. კოპლატაძე, რ. სიორიძე, მ. ბერიძე, შ. სირაბიძე, საქართველოს საზღვაო სანაოსნოს უფროსი ა. კაჭარავა, ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ოპერატორი ნ. ხაჟაურელიძე, ხელვაჩაურის რაიონის სოფელ მეჯინისწყლის კოლმეურნეობის თავმჯდომარე გ. ცინცაძე, საქართველოს ალკა აჭარის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი ჯ. ნაკაშიძე, შუახევის რაიაღმასკომის თავმჯდომარე ნ. ცეცხლაძე, პარტიის ხელვაჩაურის რაიკომის მეორე მდივანი რ. ბაკრაძე, ქობულეთის მებოსტნეობა-მეღვინეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა ნ. ორაგველიძე, ელექტრომექანიკური ქარხნის დირექტორი ი. უნგიაძე, აჭარის ასსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი ა. ანანიძე.

თათბირზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ შ. კაკანიძემ.

ბახჩისარაი. აქ გაიმართა მახარაძის, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის რაიონების სოფლის მეურნეობის მუშაკთა ზონალური თათბირი.

თათბირი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარემ თ. მოსაშვილმა.

თათბირის მონაწილეებმა გაანიხილეს გასული საპრეზიდიუმო წლის შედეგები და მიმდინარე წლის ამოცანები.

ინფორმაცია გააკეთეს პარტიის მახარაძის, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის რაიონების პირველი მდივნებმა ა. თოიძემ, დ. ხაბაშვილმა, რ. კვინტრაძემ.

თათბირზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის შედეგად ამ რაიონების სოფლის მეურნეობის მშრომელებმა ძირითადად წარმატებით დაამთავრეს გასული საპოლო-სამეურნეო წელი. სახელმწიფოს მიეყიდა ფიდბალი ჩაის ნედლეული, ციტრუსი და ტუნგის ნაყოფი, მარცვლეული, მეცხოველეობის პროდუქტები.

თათბირის მონაწილეებმა ყურადღება გაამახვილეს სოფლის მეურნეობის პროდუქციის ხარისხისათვის ბრძოლის გაძლიერების საჭიროებაზე, აშხილეს სოფლის მეურნეობის პროდუქტების, კერძოდ მებოსტნეობისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება-დამზადების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი.

დიდი ამოცანები დგას მახარაძის, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის რაიონების სოფლის მეურნეობის მუშაკთა წინაშე მეცხრე ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტ წელს. 1973 წელს მათ უნდა დაამზადონ დიდძალი ჩაის ნედლეული, ციტრუსი და ტუნგის ნაყოფი, ბოსტნეული, მეცხოველეობის პროდუქტები. რაიონების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების 1973 წლის გეგმისა და სოციალისტური ვალდებულებების ვადამდე შესრულებისათვის.

თათბირის შედეგები შეაჯამა თ. მოსაშვილმა.

თათბირის მონაწილეებმა დასასრულს ერთხმად რომ მიიღეს ეს ბრძანება, ეს ბრძანება ... ეს ... ...

ლენინიანას დიდებული საამყარო



1.

დიდი თეატრის სახელი სამუდამოდ არის დაკავშირებული ვ. ი. ლენინთან. ამ თეატრის შენობაში 30-ჯერ გამოვიდა სიტყვით ვ. ი. ლენინი... ამას მოწმობს თეატრის შენობის ფასადზე გაკრული მემორიალური დაფა.

ვ. ი. ლენინი სიამოვნებით დადიოდა დიდ თეატრში კონცერტების და სპექტაკლების მოსასმენად.

1919 წლის 10 დეკემბერს სრულიად რუსეთის კავშირების VII ყრილობის დამთავრების დღეს, დიდი თეატრის სცენაზე მოეწყო საზეიმო კონცერტი დელეგაციებისათვის. მრავალრიცხოვან მაყურებლებთან ერთად ვლადიმერ ილიას-ძე მზრუველად მიესალმა რუსული ხელოვნების ისეთ ოსტატებს, როგორიც იყვნენ ვ. ერმოლოვა, ფ. შალიაპინი, ა. ნეჟდანოვა.

ერთი წლის შემდეგ, 1921 წლის 21 თებერვალს ამავე თეატრის შენობაში ლენინმა მოისმინა ბეთჰოვენის კონცერტი ორკესტრისათვის. შესრულდა IX სიმფონია. მწერალი გალინა სერებრიაკოვა ასე იგონებს იმ შორეულ საღამოს: „... რამდენიმე კოლონადა წელმა განვლო, მაგრამ გონებაში კვლავ ჟღერს ბეთჰოვენის უკვდავი მუსიკა და უკვე გაცრეცილი წითელი ბორტიერის გვერდით, როგორც მაშინ, ვხედავ მუქ პიჯაკში კედელზე მიყრდნობილ ცოცხალ ლენინს“.

1921 წლის 7 ნოემბრის, ოქტომბრის რევოლუციის ოთხი წლისთავის აღსანიშნავად დიდ თეატრში გაიმართა საზეიმო კონცერტი. კონცერტში მონაწილეობას იღებდა ამერიკიდან ჩამოსული მსოფლიოში სახელგანთქმული მოცეკვავე ქალი ისადორა დუნკანი. მან თავისი ინტერპრეტაციით შესრულა ჩაიკოვსკის „სლავიანური მარში“, VI-ე სიმფონია და „ინტერნაციონალი“.

როცა მიწყდა „ინტერნაციონალის“ უკანასკნელი აკორდები, ვლადიმერ ილიას-ძე ფეხზე ადგა და მრავალათასიან აღტაცებულ შეძახილებს შეუერთდა. ის ხმამაღლა მიესალმებოდა ამერიკელ მოცეკვავე ქალს: „ბრავო, ბრავო, ბის დუნკან“.. სცენაზე გამოვიდა ა. ვ. ლუნაჩარსკი და გამოაცხადა, რომ დუნკანი მზად არის გაიმეოროს ცეკვის ფინალი, თუ მაყურებლები სიმღერით აჰყვებოდნენ მუსიკას. დარბაზი ფეხზე ადგა... სხვებთან ერთად მღეროდა ვ. ი. ლენინი.

მცირე თეატრის შენობაში 1920 წლის 6 თებერვალს ვ. ი. ლენინი დაესწრო ა. მ. გორკის პიესას „მოხუცი“, იმავე წლის 2 მაისს აქვე დაესწრო მ. ნ. ერმოლოვას სასცენო მოღვაწეობის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო სალამს, ამ საღამოში სხვათა შორის მონაწილეობას იღებდა რუსეთის თეატრის დიდი მსახიობი და რეფორმატორი ა. ი. სუმბათაშვილ-იუჟინი.

ყველაზე ხშირად ხალხის ბელადი სიტყვით გამოდიოდა კავშირების სახლის შენობაში „ბოლშაია დიმიტროვკაზე“.

ლენინის პირველი სიტყვა, რომელიც მან საუბრებიან დარბაზში წარმოსთქვა, და რომელიც მთელ მსოფლიოს მისწვდა, იყო სიტყვა „მშვიდობა!“ 1918 წლის 14 მარტს კავშირების IV საგანგებო ყრილობაზე ლენინი გამოვიდა ვრცელი მოხსენებით ბრესტის მშვიდობიანი მოლაპარაკების რატიფიკაციის შესახებ.

სვეტბანები და ცისფერი დარბაზის ტრიბუნიდან ლენინის სიტყვებს ისმენდნენ მეტალისტები, გეოლოგები, მსუბუქი მრეწველობის მუშაკები და ათასობით მუშები, გლეხები და წითელარმიელები.

პირველად ვ. ი. ლენინი ქალაქ სამარიდან პეტერბურგში მგზავრობის დროს შეჩერდა მოსკოვში. ეს იყო 1891 წელს. 1893 წლის აგვისტოს მიწურულში ლენინის მთელი ოჯახი საცხოვრებლად გადმოვიდა მოსკოვში. აქ ულიანოვების ოჯახი „ჰალაშევსკის“ ქუჩაზე ცხოვრობდა. აქვე ჩერდებოდა ვლადიმერ ილიას-ძე.

ამ დღიდან მოყოლებული მოსკოვის თითქმის 160-მდე ქუჩას და შენობას ახსოვს ვ. ი. ლენინის ისტორიული გამოსვლები.

ყველა ეს ადგილი წმიდათა წმიდაა მოსკოველებისათვის.

2.

მოსკოვში, დიდი თეატრის შენობაში 1922 წლის 20 ნოემბერს შედგა მოსკოვის კავშირების პლენუმის სხდომა. პლენუმზე ვრცელი სიტყვით გამოვიდა ვ. ი. ლენინი. ეს იყო დიდი ბელადის უკანასკნელი გამოსვლა ჩვენი ქვეყნის, საბჭოთა ხალხის წინაშე.

თავის რთულ და ნიფათით აღსავსე ბრძოლაში რევოლუციის მონაპოვრის დასაცავად, მოსკოვის მშრომელები ყოველთვის გრძნობდნენ ვ. ი. ლენინის მხარდაჭერას და დახმარებას. იგი ხშირი სტუმარი იყო მოსკოვის ფაბრიკების და ქარხნების, ხშირად გამოდიოდა მუშების და გლეხების წინაშე.

მოელმა ჩვენმა ქვეყანამ დიდი გულისტკივილით გადაიტანა ვ. ი. ლენინის ავადმყოფობა... ამ მიზეზით იგი საკურორტო ადგილს „გორკაში“ იმყოფებოდა 1922 წლის შემოდგომამდე, მოსკოველებს საშუალება არ ჰქონდათ ენახათ საყვარელი ბელადი, მოესმინათ მისთვის.

და აი 1922 წლის 20 ნოემბერი, დიდი თეატრის შენობა... სცენაზე გამოჩნდა ვ. ი. ლენინი... გაზეთი „იზვესტია“ ასე გამოეხმაურა ამ დიდმნიშვნელოვან ამბავს: „მსოფლიო პროლეტარიატის საყვარელ ბელადს ისეთი აღფრთოვანებული ოვაციით შეხვდნენ, როგორიც არავის არასოდეს არ ახსოვს და არც ყოფილა არსად, არც შეიძლებოდა ყოფილიყო არც ერთ სსდომაზე რომელიმე სხვა ქვეყანაში.

მხურვალე ტაშისცემა, რომელმაც 10 წუთს გასტანა, ენთუზიაზმით აღსავსე შეძახილები, მძლავრმა „ვაშამ“ დაფარა.

ვ. ი. ლენინმა ბოდიში მოიხადა დაგვიანებისათვის და აბსოლუტურ სიჩუმეში დაიწყო ლაპარაკი. მხოლოდ თვითონ ახვლედება ხანდახან. ეტყობოდა ჯერ კიდევ მთლიანად არ იყო გამოჯანმრთელებული.

მისი სიტყვები სავსე იყო რწმენით და optimიზმით. ლენინმა შეაჯამა საბჭოთა ქვეყნის პირველი ხუთი წლის არსებობის პერიოდი, მსმენელებს ზედმიწევნით სიზუსტით მოუთხრო ცხოვრებაში გატარებული ახალი ეკონომიური პოლიტიკის შესახებ, ხაზი გაუსვა, რომ განვლილმა წელმა, დაადასტურა ამ პოლიტიკის აუცილებლობა. დიდი სულიერი სითბოთი ილაპარაკა ორატორმა კომუნისტური პარტიის შესახებ... პარტიულ ამხანაგებს მან ალერსით უწოდა ის პატარა თავთავი, რომელმაც მიზნად დაისახა გარდაქმნას ყველაფერი. და მიაღწევს ამას...

თავისი ისტორიული გამოსვლა ვ. ი. ლენინმა ასეთი სიტყვებით დაამთავრა: „... ნეპის დროინდელი რუსეთი სულ მალე გადაიქცევა სოციალისტურ რუსეთად“. ეს იყო ვ. ი. ლენინის უკანასკნელი გამოსვლა. გამოსვლა ყველა საბჭოთა ადამიანისათვის გადაიქცა საბრძოლო პროგრამად მსოფლიოში პირველი სოციალისტური საზოგადოების აშენების საქმეში.

3.

დგას სახლი რევოლუციის მოედანზე.

ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმი.

რამდენი წიგნი დაწერილა, რამდენი სურათი გადაუღიათ ვ. ი. ლენინის შესახებ. სულ სხვაა, როდესაც პირადად იგრძნობ და ხელით მიუალერსებ ჩვენი ისტორიის რელიკვიებს, უნიკალურ დოკუმენტებსა და ფოტოსურათებს.

შეაღებთ მუზეუმის კარს და თქვენს წინ ვ. ი. ლენინის დიდებული სამყარო გადაიშლება.

„ლენინიანა!“

23 დარბაზში დაიტია ლენინის ჭარიმხლიანი ცხოვრება...

ლენინი — კომუნისტური პარტიის შემქმნელი...

ლენინი — სოციალისტური რევოლუციის ბელადი...

ლენინი — მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დამაარსებელი.

ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ცოცხალი მემატიანეა, რადგან ჩვენი პარტიის მთელი ისტორია და ლენინი განუყოფელი არიან. მუზეუმი ცოცხალი ორგანიზმია; მნახველთა თვალწინ საოცარი ფერებით არის გადაშლილი ჩვენი ქვეყნის გმირული წარსული, აწმყო და მომავალი. აი მეტად მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელიც სტენდებზე გამოჩნდა: ვ. ი. ლენინის დასკვნითი სიტყვა სრულიად რუსეთის კავშირების III ყრილობაზე.

პირველი დარბაზის ექსპოზიცია ეთმობა ვ. ი. ლენინის ბავშვობას, სიჭაბუკეს, რევოლუციურ მოდგაწეობას და მარქსიზმის განვითარებაში ლენინური ეტაპის დასაწყისს. დოკუმენტები და მასალები მოგვითხრობენ ლენინის ყაზანის, სიმბირსკის, სამარის და პეტერბურგის ცხოვრების პერიოდზე.

II და III დარბაზებში ნაჩვენებია ბრძოლა ახალი ტიპის მარქსისტული პარტიის შექმნისათვის. პარტიის ხაზის და მისი იდეალების ერთგული დამცველი იყო ლენინური გაზეთი „ისკრა“.

აქვეა პროფესიონალ რევოლუციონერ „ისკრელთა“ ჯგუფის დიდი ფოტოსურათი. აი მათი გვარები: ი. ბ. სტალინი, ი. ვ. ბაბუშკინი, ნ. ე. ბაუმანი, ი. ბ. დუბროვინსკი, მ. ი. კალინინი, ლ. ბ. კეცხოველი და მ. გ. ცხაკაია.

მივყვებით ფართო დარბაზებს. ლენინიანა გრძელდება. X დარბაზს ასეთი სათაური აქვს: — „ლენინი — ოქტომბრის რევოლუციის ბელადი და შთამაგონებელი“. ნაჩვენებია პირველი საბჭოთა მაისობა მოსკოვში. მშრომელთა დემონსტრაცია, ლენინის გამოსვლა წითელ მოედანზე და ახლად ჩამოყალიბებული წითელი არმიის ნაწილების პირველი სამსედრო აღლუმი ხოდინკის ველზე.

მეტად საინტერესოა სამოქალაქო ომის პერიოდისადმი მიძღვნილი ექსპოზიცია. თანმიმდევრობით არის ნაჩვენები ის დიდი ისტორიული გამარჯვებები, რომლებიც წითელმა არმიამ მოიპოვა ანტანტის და თეთრგვარდიელთა წინააღმდეგ წარმოებულ სისხლისმღვრელ ბრძოლებში. მუზეუმისთვის სპეციალურად გაკეთებულ პატარა კინოკარანზე რამდენიმე წუთის განმავლობაში ცოცხლდება ჩვენი ქვეყნის გმირული წარსული: გენერალ კორნილოვის განადგურება, ლეგენდარული ჩაპაევი, სერგო ორჯონიკიძე აზერბაიჯანში, ვოროშილოვის და ბუდიონის ცეცხლოვანი კავალერია, ი. ბ. სტალინის ჩასვლა ცარიცინში და ცარიცინის გმირული დაცვა, შორეული აღმოსავლეთის წითელი არმია ბლიუხერის ხელმძღვანელობით სასტიკად ამარცხებს მტერს ვოლოჩაევკასთან...

ორი დარბაზი მთლიანად ეთმობა დიდ სამამულო ომს. საბჭოთა ხალხის არნახულმა გმირულმა სულმა და კომუნისტური პარტიის ბრძნულმა პოლიტიკამ განაპირობა ჩვენი გამარჯვება. უზარმაზარ სტენდზე გაკრულია 1941 წლის 3 ივლისის „პრავდის“ ნომერი ი. ბ. სტალინის სურათით. აქვეა საბჭოთა ხალხისადმი მიმართული მისი ისტორიული სიტყვა. ნაჩვენებია სტალინგრადის გმირული ეპოპეა, ევროპის ხალხთა განთავისუფლება, ბერლინის დაცემა და ძლევამოსილი საბჭოთა ჯარების პარადი წითელ მოედანზე.

და მაინც ყველაზე საინტერესოდ და საზეიმოდ XVI დარბაზია მორთული. ექსპოზიციის სათაურია: „ლენინი — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების შემქმნელი“.

— თქვენ ალბათ შეამჩნიეთ, — გვეუბნება მუზეუმის უფროსი თანამშრომელი ვ. დეკიატოვი, — რომ ამ დარბაზში ყურადღება ეთმობა ეროვნული საკითხისადმი მიძღვნილ დოკუმენტებს. ექსპოზიცია ზედმიწევნით ტევადია, ის ზუსტად და კოლორიტულად გადმოგვცემს ჩვენი სახელმწიფოს ყოველდღიურ ცხოვრებას, მაჯისცემას, სუნთქვას და ოდებულ გამარჯვებებს 50 წლის მანძილზე.

50 წლის მანძილზე საბჭოთა კავშირი უდიდეს და უძლიერეს სოციალისტურ სახელმწიფოდ გადაიქცა. ის თავის რიგებში აერთიანებს 15 მოკავშირე და 20 ავტონომიურ რესპუბლიკას. საბჭოთა კავშირმა შექმნა სოციალისტური ერების ურღვევი მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, უზრუნველყო მათი ეკონომიკისა და კულტურის გაფურჩქვნა.

ლენინურ ეროვნულ პოლიტიკას დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს. მოძმე სოციალისტური ქვეყნების მშრომელნი, მთელი მსოფლიოს პროგრესული ძალები დიდი ყურადღებით ეცნობიან და სწავლობენ ჩვენს მდიდარ გამოცდილებას. დაარსების დღიდან (1936 წელი) ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმი 35 მილიონმა კაცმა დაათვალიერა.

დამთავრდა დიდი და შთაბეჭდილებით სავსე მოგზაურობა ლენინის სამყაროში.

გარეთ გამოვდივართ. მოდის და მოდის ხალხის ტალღა. მოდიან, რათა მოსკოვის წმიდა ადგილები ბუნოთ იერძნონ, ხელით მიუალერსონ ჩვენი ისტორიის უნიკალურ დოკუმენტებს და რელიკვიებს...

დგას სახლ-მუზეუმი მოსკოვის შუაგულში, რევოლუციის მოედანზე. მისი კარი ყველასათვის ღიაა.

დ. მაჭავარიანი,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

მ. მოსკოვი.

პარიზი. საერთაშორისო კონფერენციების სახლი კლებერის აველიუზზე.
აფპ-საკადრის ფოტო

Მ. Ა. ᲒᲝᲒᲘᲩᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲐᲙᲠᲫᲐᲚᲕᲐ

შაბათს, 20 იანვარს დ[illegible] ელეს საქართველოს კომპარტიის [illegible] ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი **მიხეილ ალექსანდრეს-ძე გოგიჩაიშვილი.**

დღის 12 საათიდან თბილისის საბჭოთა არმიის ოფიცერთა სალაზარეთის სახლში, სადაც დასვენებული იყო კუბო მ. ა. გოგიჩაიშვილის ცხედრით, უწყვეტ ნაკადად მიედინებოდნენ თბილისის მუშები და მოსამსახურენი, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა წარმომადგენლები, რათა გამოსთხოვებოდნენ თვალსაჩინო პარტიულ მოღვაწეს.

...ოფიცერთა სახლის დარბაზი თალხებშია. გაისმის სამგლოვიარო მელოდიები. განუწყვეტლივ იცვლება სამპატიო ყარაული. ყარაულში დგებიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს პასუხისმგებელი მუშაკები, საბჭოთა არმიის გენერლები, მ. ა. გოგიჩაიშვილის დაკრძალვის მომწყობი კომისიის წევრები, ლიტერატორისა და ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწენი, მეცნიერნი.

არ წყდება ხალხის ნაკადი, რომელიც მოდის მ. ა. გოგიჩაიშვილთან გამოსათხოვებლად. კუბოსთან ალაგებენ გვირგვინებსა და ყვავილებს.

დადგა გამოთხოვების უკანასკნელი წუთები. საპატიო ყარაულში დგებიან **პ. ბ. გელაშვილი, შ. დ. კიკნაძე, პ. ვ. მელნიკოვი, ზ. ა. პატარიძე, ე. ა. შევარდნაძე, ა. ნ. ჩოჩუაი, შ. ი. ჭანუყვაძე, ვ. დ. ჯავახიშვილი, ო. ე. ჩერქეზია, ნ. ი. პატიაშვილი.**

მიწყდა სამგლოვიარო მელოდია. დარბაზში რჩებიან განსვენებულის ნათესავები და ახლობლები.

ფრთხილად გადმოაქვთ კვარცხლბეკიდან კუბო მ. ა. გოგიჩაიშვილის ცხედრით. სამგლოვიარო პროცესია ნელი ნაბიჯით მიდის რუსთაველის პროსპექტით და მიემართება საზოგადო მოღოწეთა სპეციალურ პანთეონისაკენ.

აქ გაიმართა ხალხმრავალი სამგლოვიარო მიტინგი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სახელით მიტინგი გახსნა მ. ა. გოგიჩაიშვილის დაკრძალვის მოწყობის კომისიის თავმჯდომარემ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **ზ. ა. პატარიძემ.**

სამუდამოდ წავიდა ჩვენგან პატიოსანი, ერთგული, მოსიყვარულე ადამიანი, ერთგული ლენინელი, ბოლშევიკი, ერთგული ინტერნაციონალისტი, ერთგული ბელადის, ერთგული ლენინური ეროვნული პოლიტიკის, ერთგული ბოლშევიკური ინტერნაციონალიზმის, ერთგული ბოლშევიკური ინტერნაციონალიზმის, ერთგული ბოლშევიკური ინტერნაციონალიზმ

საქართველოს ჟეა-ჯაგუი

არქეოლოგები ანგარიშს აბარებენ

ჟოველწლიურად დიდ არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას აწარმოებს აკად. ხ. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი. გასულ წელს ჩატარებული საველე მუშაობის შედეგებს მოეძღვნა ახლახან ორდღიანი სამეცნიერო სესია. სულ მოისმინეს ცხრა საველე არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის ანგარიში.

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა ო. ჯაფარიძემ სესიას მოახსენა სამცხე-ჯავახეთის ექსპედიციის მონაპოვარზე; ყვარლის რაიონის სოფლებში — გავაზში და საქობოში ჩატარებული გათხრების შესახებ მოხსენება გააკეთა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა ლ. ჭილაშვილმა; ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორმა პ. ზაქარაიამ და ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა ვ. ლეკვინაძემ ილაპარაკეს გალის რაიონის სოფლებში გუდავასა და ილორში ჩატარებულ გათხრებზე; შიდა და ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციების მონაპოვარი დაშვრა ხაზოგადოებას გაგაცნო ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატმა ალ. ჯავახიშვილმა; ბოლნისის რაიონის სოფელ კაზრეთში შესრულებული მუშაობის შესახებ ილაპარაკა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა მ. სინაურიძემ; მუზეუმის უმცროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა გ. ნემსაძემ სესიას მოახსენა ქარელის რაიონის სოფელ ურბნისში მოპოვებულ არქეოლოგიურ მასალებზე. უკვე რამდენიმე წელია მიმდინარეობს მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, სადღურ ქსანთან ახლოს, სამალლოს გორაზე, ადრეანტიკური ხანის ნაქალაქარის გათხრა, სადაც მდიდარი და მეცნიერებისათვის მეტად საყურადღებო არქეოლოგიურ მასალას პოულობენ. ამ გათხრის შესახებ ინფორმაცია გააკეთა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა ი. გაგოშიძემ.

სხდომათა დარბაზში და ვესტიბიულში გაწყობილ ვიტრინებში გამოფენილი იყო იშვიათი არქეოლოგიური მონაპოვრები, ფოტოსურათები და სათანადო ჩანახატები.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტების, ქართული ხელოვნების ინსტიტუტის მეცნიერებმა მაღალი შეფასება მისცეს მუზეუმის მიერ ჩატარებულ საველე არქეოლოგიურ გათხრებს.

დ. ცინცაძე.

რუსთაკის კამბები

ლუქა — არის ასეთი სამრეწველო ქალაქი ლატვიაში. აქ, ინტერნაციონალური მეგობრობის შეხვედრებზე მიეწვიეს რუსთაველი მშრომელები. მასპინძლებმა და სტუმრებმა ახლოს გაიცნეს ერთმანეთი, გაიზიარეს თავიანთი შრომითი წარმატებები. ჩატარდა ინტერნაციონალური მეგობრობის საღამოები, შეხვედრები.

მასპინძლებმა რუსთაველიდან ჩასულ სტუმრებს გააცნეს თავიანთი ქალაქის, აგრეთვე რესპუბლიკის ღირსშესანიშნაობანი. შემდეგ კი მახლობელ სოფელ ციბლას ესტუმრნენ. აქაც ჩატარდა მეგობრობის შეხვედრა. ლატვიელმა სკვინის მოყვარულებმა სოფელში კონცერტი გამართეს, სადაც ლატვიის ეროვნულთან ერთად შეასრულეს ქართული სიმღერებიც.

ათიათასზე მეტი პენსიონერია ქალაქში. მარტო შარშან პენსიონერებმა მიიღეს 4.500 ათასი მანეთი. დახმარება მიეცათ მრავალშვილიან და მარტოხელა დედებსაც. ამ მიზნით გაიმეტა თანხამ 48.000 მანეთი შეადგინა.

პენსიონერებს სისტემატურად და დიდი რაოდენობით ეძლევათ დასასვენებელი სანატორიუმ-სანატორიუმების საგზურები, საცხოვრებელი ბინები. ახლ მაგალითად, შარშან საგზურებით 65 კაცმა დაისვენა, ხოლო ოცმა — ბაღმოსახლეობა იზეიმა.

მექანიზებული ფურნე

ტყიბული. კარგი საჩუქარი მიიღეს გურნელმა კოლმეურნეებმა. სოფლის ცენტრში აშენდა მექანიზებული ფურნე.

იგი გარდა გურნისა მომსახურებას გაუწევს სოფლებს კოთხიჯსა და კისორეთს.

ლ. ბარსენიძე.

„კომუნისტის" რეიდი

სასაუზმე — უნყლოდ, საცხობი — უპურო...

ლენინგორში სტალინის ქუჩაზე მდებარე სასაუზმეში ხინკალს, ხაჭაპურებსა და ჩაის ამზადებენ. სასაუზმეზე ჯერ არც კი ვიყავით მისულნი, რომ გზაში მებუფეტე თ. კაკინოვი და დამლაგებელი შეგვხვდნენ. ისინი ვეღრებით ხელში წყლის საძებნელად გამოსულიყვნენ. ჩვენ იქ აღარ შევსულვართ, რადგან უკვე გაგებული იყო, რომ უწყლოდ ვერც ხინკალსა და ვერც ხაჭაპურს. დაამზადებდნენ, ხოლო ჩაიზე რა თქმა უნდა, ბოდიშს მოიხდიდნენ.

ეს მაგალითი ჩვენ აქ ამიტომ მოვიყვანეთ, რომ გასაგები გახდეს ზოგიერთი გარემოება, რაც ხელს უშლის ვაჭრობის გაფართოებას ლენინგორში.

რაიონულ ცენტრში სასმელი წყლის ნაკლებობა დიდი ხანია იგრძნობა, მაგრამ ბოლო ხანებში განსაკუთრებით აუტანელი გახდა. საზოგადოებრივი კვების ობიექტები უწყლობით ნორმალურად ვერ მუშაობენ. ლენინგორის პურის საცხობს წყლის მოტანა დუშეთის რაიონის სოფელ ოძისდან უხდება. სასაუზმეების, სასადილოების, მაღაზიების სანიტარულ მდგომარეობაზე ზომ ზედმეტია ლაპარაკი.

ყველაფერი ეს საქმის ერთი მხარეა. მაგრამ არის ობიექტები, რომლებსაც შენობები საკეთესო აქვთ, წყალი არ აკლიათ, საქონლითაც ნორმალურად მარაგდებიან, მაგრამ ჩამორჩენა აქვთ გეგმების შესრულებაში და ვერ იმსახურებენ მომხმარებელთა პატივისცემას.

ყანჩაეთში, ლარგისსა და ზოგიერთ სხვა სოფლში არის პურის საცხობები და საკეთესო სასმელი წყალიც აქვთ, მაგრამ, სამწუხაროდ, არცერთ მათგანში პური არა ცხვება. რატომ? იმიტომ, რომ პურის მცხობელები არა ჰყავთ. ამ საქმეში ნაკლებ დაინტერესებას იჩენენ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები და საბჭოთა მეურნეობების დირექტორები, რომელთა მოვალეობაა დაეხმარონ კოოპერაციას კადრების შერჩევაში.

ცნობებს რომ ჩახედავთ, სოფლების უმეტესობაში პური არ ცხვება, პურის ცხობის რაიონული ეკიპაჟი კი გადაუპარებელი სრულდება.

საიდან?

გამორკვა რომ მომხმარებლებს გამომცხვარი პურის მაგიერ ფქვილს აძლევენ, რაც შემდეგ საცხობებზე ფორმდება. ესე იგი მომხმარებელს მიაქვს ფქვილი, ხოლო საცხობებს ეწერებათ როგორც გამომცხვარი პური.

ამით კოოპერაცია არაფერს კარგავს, გაყიდული ფქვილიდან ის გამომცხვარი პურის ღირებულებას იღებს, დავიდარაბა არ სჭირდება და არც პურის მცხობლებს ეძებს. მაგრამ კოოპერაციაში ამას აღარ ფიქრობენ, რომ მომხმარებელი ფქვილში ზედმეტ ფასს იხდის, ხოლო კოლმეურნეობა ან საბჭოთა მეურნეობა მუშახელს კარგავს. სოფლად გამომცხვარი პურის ფაფადი ამით არის მიზანშეწონილი, რომ დაისახლისები გათავისუფლდნენ პურის ცხობისაგან და იმუშაონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

ფქვილით ვაჭრობაშიც არის ნაკლოვანებები. ლარგვისის, იკოთისა და ახალდაბის მაღაზიებში ბრინ შემთხვევაში ერთ ხელზე დიდი რაოდენობით იყიდება ფქვილი, ზოგჯერ 10-15 ტომარა. ამით ფქვილით ვაჭრობაში იქმნება შეფერხებები, განსაკუთრებით ზამთარში, როცა სოფლებს შორის მიმოსვლა შეზღუდულია. ამ დარაგი ვზედებთ ფასების დამახინჯებებსაც.

სოფელ ლარგვისს ლენინგორის რაიონში მეცხვარეთა ცენტრს უწოდებენ. იგი სამი ხეობის — ქსნის, ცხრამდორასა და ეურთის შემაერთებელია. აქ გახსნილია რესტორანი, სასაუზმე, მაღაზიები. ცხადია, ლარგვისში გაცხოველებული ვაჭრობაც უნდა იყოს. მაგრამ რესტორანი დაკეტეს იმიტომ, რომ იქ გათბობა არ არის, სასაუზმე მუშაობს, მაგრამ ვაი იმ მუშაობას, კლიენტები სიცივისაგან კანკალებენ.

სასაუზმეში (გამგე შ. ხურიშვილი) თვეობით არ აღგენენ კალკულაციას კერძებზე, თავისუფლად ვაჭრობენ კონიაკით და ლაყაფით, რომელთა გაყიდვა აკრძალული აქვთ. კერძების ფასები მაღალია.

პროდუქტების შესყიდვას ამ სასაუზმისათვის აწარმოებს როგორც საბჭოთა მეურნეობა. კოოპერაციის საზ.ვეება, ისე თვით გამგე შ. ხურიშვილი. აქ ინდაურის და ცხვრის ხორცი შესასყიდ ფასებთან შედარებით ერთი თითრად და უფრო მეტად ძვირია.

რეიდმა სოფლის მთელ რიგ მაღაზიებში გამოავლინა ნაკლოვანებანი საცალო ვაჭრობისა და საზეკვებში. ბევრგან გამოტანილი საქონლის ნაწილს ფასები არ ადევს, შეუთანხმებელია გირები, მაღაზიებში საქონელი ისეა გამოფენილი, რომ მომხმარებელი ადვილად ვერ შეამჩნევს მისთვის საჭირო სამრეწველო ნაკეთებს. თუ სასურსათო პროდუქტს, ისე იყო, მაგალითად, სოფელ ახალდაბისა და იკოთის მაღაზიებში. ნაკლოვანებას შეეხვედით აგრეთვე სოფელ ლარგვისის მაღაზიაში. წაეწყვდით დეფიციტურ საგანგებო ნაწერმს (ხელთათმანებს, ხელჩანთებს და სხვ.), რომელიც დასაყიდად არ ჰქონდათ გამოტანილი.

ლენინგორის საოჯახო საქონლის მაღაზიაში (გამგე ნ. ბალაშვილი), რომელიც უნივერსალური მაღაზიის პირველ სართულზე მდებარეობს, ყოველთვის უწესრიგობაა, საქონელი მიყრილ-მოყრილია, მყიდველი ადვილად ვერ მიიკვლევს გზას მისთვის საჭირო საქონლამდე. ჩეხური შუშის საყვავილე ვაზები მხოლოდ მაშინ გამოიტანეს, როცა რეიდის მონაწილენი აქ შევედით. კლიენტებმა გვითხრეს, ასეთი შემთხვევები ერთი და ორი როდიაო.

ზემოთ მოყვანილი ფაქტები იმაზე მეტყველებენ, რომ სოფლად ვაჭრობა ლენინგორის რაიონში თვალსაჩინო ნაკლოვანებებით ხასიათდება.

ვფიქრობთ, რომ პარტიის რაიკომი და რაისაბჭოს აღმასკომი დროულ ზომებს მიიღებენ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

რეიდის მონაწილენი: ბ. სოკაროვი — ლენინგორის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანი, **ბ. დოლიშვილი** — ლენინგორის რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე, **ა. ჭელაძე** — ლარგვისის სახოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, **თ. გვრიტიშვილი** — რაისამომხმარებლო კოოპერაციის რევიზორ-ინსტრუქტორი, **ი. თედიაშვილი** — „კომუნისტის" ხაკუთარი კორესპონდენტი.

ფართული კერამიკის ოსტატებთან

საერთაშორისო გამოფენებზე

თბილისის ხაშენი მასალების კომბინატის კერამიკული ნაკეთობანი ფართოდ არის ცნობილი ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ.

მხატვარ-კერამიკოსთა შემოქმედებითმა კოლექტივმა, რომელსაც ლ. ყიფიანი ხელმძღვანელობს, ათობით შესანიშნავი ნაკეთობა შექმნა ფაიფურისა და წითელი თიხისაგან — დოქები, სურები, დეკორატიული თეფშები, ეროვნული სუვენირები. მათ არაერთხელ დაუმსახურებიათ დიპლომები საერთაშორისო გამოფენებზე, კონკურსებსა და ბაზრობებზე.

საერთაშორისო ბაზარზე დიდი მოთხოვნილებაა ქართულ კერამიკაზე. მარტო გასულ წელს კომბინატის პროდუქცია გაგზავნა ჩეხოსლოვაკიაში, შვეიცარიაში, კანადაში, იაპონიაში, იტალიაში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, დანიასა და იუგოსლავიაში.

ახლა კომბინატის მხატვარი-კერამიკოსები მაღალმხატვრული ქართული კერამიკის ახალი ნიმუშებით დიდ პარტიას ამზადებენ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკისა და დასავლეთ ბერლინის გამოფენებზე, აგრეთვე იმ კონკურს-გამოფენაზე გასაგზავნად, რომელიც იტალიაში გაიმართება.

* * *







სურათებზე: მარჯვნივ — კერამიკული ფაიფურის საამქროს მხატვარი-შემსრულებელი გ. ჩიტაძე; მარცხნივ — ფაიფურის ნაწარმი; შუაში — დეკორაციული თეფშები.

ხ. კილაძის ტექსტი და ფოტო.

ა. ნანიტაშვილი



ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდაიცვალა სკკპ წევრი 1917 [illegible] მეფეშვილობის [illegible] ალექსანდრე ოქროპირის-ძე ნანიტაშვილი.

ა. ნანიტაშვილი დაიბადა 1888 წელს, ორჯონიკიძის რაიონის (ყოფ. შორაპნის მაზრის) სოფელ ბაზალეთში. ბავშვობიდანვე ჩაება შრომით საქმიანობაში. 1909 წლიდან მას იწვევენ მეფის არმიაში, სადაც დაჰყო 1918 წლამდე. არმიაში ყოფნის დროს ა. ნანიტაშვილი ჯარისკაცთა შორის ეწეოდა ბოლშევიკური იდეების პროპაგანდას.

არმიიდან დაბრუნების შემდეგ იგი აქტიურად ებმება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლაში.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ა. ნანიტაშვილი აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. 1923 წლიდან პენსიაზე გასვლამდე (1958 წ.) მუშაობდა ორჯონიკიძის სატყეო მეურნეობის სისტემაში ტყის მცველის და უფროსი მეტყევის თანამდებობაზე. იგი რამდენჯერმე იყო არჩეული ადგილობრივი საბჭოს დეპუტატად.

ძველი ბოლშევიკის, საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის აქტიური მებრძოლის ა. ნანიტაშვილის ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი ამხანაგების და ნაცნობების გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

წერილები კარგ კადამიანებზე

გულის ოპერაცია — რაიონულ საავადმყოფოში

ზუგდიდი. (ხაკ. კორ.). ამ რამდენიმე ხნის წინათ რაიონაავადმყოფოს ხასწრაფო დახმარებაში უგონო მდგომარეობაში მოიყვანეს 26 წლის ქალაქი ჯ. ჭ. ავადმყოფი უკიდურეს მძიმე (აგონალურ) მდგომარეობაში იყო. წნევა და მაჯა არ ოხინჯებოდა, თვალის რქოვანი გარხი რეაქციას არ იძლეოდა, გულის მხოლოდ ძალზე მოდუნებული, მოურუბული ტონის მოსმენა შეიძლებოდა.

ავადმყოფს ადგილზე გაეწია პირველი დახმარება, რის შემდეგ სასწრაფოდ აუვანილ იქნა ხაოპერაციო მაგიდაზე. წვიფის ფენიდან ვენა ხელიით დაეწყო სისხლის გადასხმა. ოპერაცია ჩატარდა მართვითი ხუნთქვის ფონზე და შემდეგში გაგრძელდა ენდოტრაქეალური ნარკოზის ქვეშ. გულმკერდის ღრუს გახსნისას პლევრის ღრუ თავისუფალი აღმოჩნდა, ფილტვები შეკუმშული, პერიკარდიუმის ღრუ კი გადადებული იყო. ხელის შეხებით გულის პულსაცია სუსტად შეიგრძნობოდა. კოლტის ამოგდებისას გულიდან იფეთქა სისხლმა, რომელიც შეჩერებულ იქნა ჭრილობაში მარცხენა ხაჩვენებელი თითის გასვლით.

ჭრილობის დათვალიერებით გამოირკვა, რომ გულის მარჯვენა პარკუჭი 2 სანტიმეტრის ხიგრძეზეა გაჭრილი. ჭრილობას დაედო სამი კვანძოვანი ნაკერი. გაკერვისას გულმა მუშაობა შეწყვიტა.

ამ კრიტიკულ მომენტში, — გვეუბნება რაიაავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების გამგე, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი დავით ლაზარია, რომელმაც ოპერაცია გააკეთა, — უნებლიეთ მომაგონდა ლენინგრადელი აკადემიკოსების კუპრიანოვის, უგლოვის და ჩეხი მახწავლებლის აკადემიკოს ანთელავას კლინიკებში პრაქტიკულად ნანახი შემთხვევები — გაჩერებულ შეჩვენ გულზე ხელის მახაუთ შედეგად გულის შეკუმშვის აღდგენის შემთხვევები. ამ მეთოდის გამოყენებამ კარგი შედეგი მომცა — გულის შეკუმშვა აღდგა, ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა. ადამიანები გვილოცავდნენ სიკვდილზე გამარჯვებას, რაშიაც ჩემთან ერთად მონაწილეობდნენ ანესტეტენი გ. ქვარია, ანესტეზიოლოგი ლ. გელანტია, ხისხლის გადამსხმელი ექიმი ნ. ხართანია და სხვები.

ჩვენ ვესაუბრეთ რაიაავადმყოფოს მთავარი ექიმის მოვალეობის შემსრულებელს ხ. ხვიტიას. აი რა გვითხრა მან:

— ეს პირველი შემთხვევა არა მარტო ზუგდიდის რაიონში, არამედ სხვა რაიონულ საავადმყოფოებშიც. გულის პერანგის ოპერაციის შემთხვევა გვქონია, მაგრამ გულის პარკუჭის ოპერაციას ვერ ვაკეთებდით. მაგრამ, როგორც ხედავთ, ამ რთულ ოპერაციას კარგად გაართვა თავი ჩვენმა თანამემამულემ, ახალგაზრდა ქირურგმა დ. ლაზარიამ.

განკურნებული ჯ. ჭ. უკვე გაეწერა საავადმყოფოდან და თავს კარგად გრძნობს.

გ. ნოდია.

მკურნალი

ათეული წლები ჯანმრთელობის საქართველოზე

პირველში და მოუკარებელი ბუნება სვანეთისა... მრისხანეა მისი მთაცა და ბარიც. მიდისარ, მიპყვები მთებზე ბილიკებს... ერთი ფეხი რომ აგიდგეს უფსკრულებში დაიდებ სამარადისო ბინას...

ეს ყველაფერი იცოდა ახალგაზრდა ექიმმა თამარ ღოღობერიძემ... მას ბევრი რამ ჰქონდა წაკითხული და გაგონილი სვანეთის შესახებ, იცოდა თუ რა შეუოფარი შრომა და ჯაფა, რამდენი უძილო ღამე ელოდა იმ მთებში და მაინც, მტკიცედ გადაწყვიტა სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ წასულიყო ამ საოცარ მხარეში, იმ მთების შვილთა ჭირი და ლხენა გაეზიარებინა.

და აი, უკან დარჩა საყვარელი თბილისი, ინსტიტუტის კედლები, პროფესორ-მასწავლებლები, თანატოლები...

...პირველი გამოძახება ავადმყოფთან... შეუძლებელია მისი დავიწყება... ღამეა, ქარი ბობოქრობს, იხეხნზე შეხვეს თამარ ექიმი სვანებმა. ერთს აღვირი ხელში უჭირავს და წინ მიუძღვება, მეორე გვერდით მიჰყვება, ვინძლო ცხენს ფეხი არ აუცდეს და მკურნალი — სოფლის იმედი ხეობაში არ ჩაიკეწოსო.

პირველი პაციენტი ბავშვი აღმოჩნდა. სიცხის აღმური ეკიდა და უძრავად იწვა, ხმას არ იღებდა...

— ექიმი მოვიდა, ო. მუღასის მადლო, გადამირჩინე ჩემი პირმეთი, დილიცა ოჯახის დიდამ. ბავშვმა თვალი გაახილა... თამარმა იგი გულდაგულ გასინჯა, შემდეგ წყალი მოიითხოვა... ბავშვს წამალი დაალევინა. სამი დღე თავზე ადგა პირველ პაციენტს ახალგაზრდა ექიმი. ინსტიტუტში მიღებული ცოდნა პირველად შეეხა ავადმყოფობას, შეეხა და დაამარცხა იგი... უდიდესი სულიერი კმაყოფილების გრძნობას იწვევს ხოლმე პირველი გამარჯვება... აქ იბადება რწმენის ძალა და ძლიერება...

— თ. ღოღობერიძე ჩვენს სოფელში რომ მუშაობდა, ის მიეგებინნდა არა მარტო მეურნალად, არამედ მეგობრად, მრჩეველად, დამხმარედ. რა დამავიწყებს მის თავგანწირვას სხვისი სიცოცხლის გადასარჩენად. მან ნანვრის ერთ ქარბუქიან ღამეს, როცა ვაკაციც ვერ გაბედავდა გზაზე გამოსვლას, მთიან სოფელში ამოგვაკითხა და სიკვდილს გამოსტაცა ჩემი მეულლე და ვაჟი... ერთი დღით დაგვიანება და ავადმყოფებს მერე არაფერი უშველიდა. — ახე ახსენებს ექიმის მეგე, ბებერი ბებერ ბებერ ...

...ბებერ ...

...ბებერ ...

...